სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის ადგილობრივი წარმოებითი უზრუნველყოფის შესაძლებლობები საქართველოში

თამარ ლომიძე,
თამთა უთნელიშვილი, სტუ-ს დოქტორანტები

OPPORTUNITIES IN GEORGIA TO SATISFY DEMAND ON AGRICULTURAL PRODUCTS BY SUBSTITUTING THEM WITH LOCAL PRODUCTION

Tamar Lomidze, Tamta Utnelishvili,
Doctoral students Of GTU

SUMMARY

Agriculture and industries of Georgia introduce the main economical development antencendence.

To create the special environment for the agricultural development will increase competitive ability in agricultural sector.

The right method of agricultural dynamic development of Georgia should unite special arrangements which are based on complex and straregical methods.

Thus Georgia has climate conditional advantages in agriculture and agreement access about free trade space on the world market.

keywords: importance of local industries, promotion of local industries, state policy on local industries, competitiveness, rural development

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების პოლიტიკა, კონკურენტუნარიანობა, სოფლის განვითარება.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის განვითარებას. სოფლის განვითარება, საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისთვის.

სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, რაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული სტრატეგიების განხორციელებით და მრავალდარგობრივი მიდგომებით. ამ პოლიტიკამ, უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მათ, მეტი მნიშვნელობა უნდა შესძინონ, სოფლის იდენტობას და შექმნან მდგრადი განვითარების საფუძველი, უზრუნველყონ სოციალური ჩართულობა და ადგილობრივი განვითარება, ისევე, როგორც ხელი შეუწყონ მეურნეობებისა და თემების სიცოცხლის უნარიანობას სოფლად.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ მე-10 თავის "სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება" თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება, ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაუახლოვოს საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს.

ევროკავშირის მიდგომის მთავარი მახასიათებელი და გაცხადებული მიზანია, საზოგადოების ძალისხმევით გამოვლინდეს ადგილობრივი პრიორიტეტები, განისაზღვროს სტრატეგიები საითკენაც შემდგომში მიმართული იქნება ინვესტიციები. მნიშვნელოვანია, ამგვარი მიდგომის საქართველოში გამოყენების მექანიზმების შემუშავება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს ეს მექანიზმი ამჟამინდელ რეგიონული და მუნიციპალური დონის დაგეგმარებაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2018-2020 წლების სტრატეგიული ხედვაა გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის კონკურენციას აგროსექტორში, ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტაბილურ ზრდას, უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოებას და აღმოფხვრის სოფლის სიღარიბეს.

საქართველოს ამ ეტაპზე არ აქვს სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა. საჭიროა, სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფა ევროკავშირის საუკეთესო პოლიტიკის შესაბამისად. ეს ნიშნავს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნების სოფლის განვითარების პოლიტიკას, რომელიც 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს, ექვსი პრიორიტეტი აქვს:

1. სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
2. სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ხელშეწყობა;
3. საკვები პროდუქტების წარმოებაში ღირებულე-

ბათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა;

4. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემის აღდგენა;

5. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, საკვების წარმოებაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის მხარდაჭერა.

6. სოფლად სოციალური ჩართულობის, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირი და FAO საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განვითარებაში ეხმარებიან. 2018 წლის 22 ნოემბერს, "სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამუშაო ჯგუფის" მონაწილეებმა შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სერვისების განვითარების მხარდაჭერის მიზნით გამართეს. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2019 მიზნად ისახავს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მიუხედავად, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, ისევ გამოწვევაა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ბარიერს უქმნის მეწარმეობის განვითარებას. სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 39% შინამეურნეობებში პროდუქციის გადამუშავებაზე მოდის, ასევევ მნიშვნელოვანი წილი უკავია ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის მოთხოვნის ზრდას, რამდენიმე მიზეზით ხსნის ექსპერტი სოსო არჩვაძე. მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფასია.

"ამ სასიკეთო ცვლილებას ბევრი მიზეზი აქვს, თუმცა პირველ რიგში, ეს ალბათ ფასია - უცხოური პროდუქცია შედარებით ძვირია. გარდა ამისა, უცხოეთიდან ბევრი გენმოდიფიცირებული და ქიმიური დანამატების შემცვლელი პროდუქტი შემოდის, რომელიც ჯანმრთელობისთვის მაინც და მაინც სასარგებლო არ არის. მის გათვალისწინებით რომ, ჩვენთან ქიმიური მრეწველობა და დანამატები იმ დონეზე არ არის, პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა და საბოლოოდ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უპირატესობას ქართულ პროდუქცია ანიჭებს".

სასურსათო და კვებითი უსაფრთხოება " არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა, საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი სურსათზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისთვის". ყვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, არის ქვეყნის უნარი, კიდევ უზრუნველყოს სურსათზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებანი. სასურსათო უზრუნველყოფის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია რესურსებსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელზეც სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, თითოეული ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. აქედან გამომდინარე, ისეთი მასშტაბის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მიზანმიმართული განვითარება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, სასოფლო სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ამ მიმართულებით, ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორს ბაზარზე ფასისა და ხარისხის შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მომსახურების არარსებობა წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში, ფერმერებისთვის მძიმე შემთხვევებით მთავრდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველად წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად, კერძო სექტორში არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც აფერხებს სამუშაოებების აგრო ვადებში შესრულებას და ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, მომავალში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

სოფლის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% სოფლად ცხოვრობს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 43%, საიდანაც 97%-ზე მეტი თვითდასაქმებულია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ეტაპზე არ გააჩნია სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც წარმატებით უკვე ხორციელდება, როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის- " სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება" თანახმად, საქართველომ უნდა უზ-

რუნველყოს სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პოლიტიკის შესაბამისად.

დღემდე სოფლის მეურნეობის ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება მეურნეობების მცირე ფართობებად დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია. ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების, კაპიტალისა და საბაზისო ცოდნის ნაკლებობამ დროთა განმავლობაში პროდუქტიულობის, მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ფერმერების უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებით არის შესაძლებელი. შოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. გაუმართავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თავის მხრივ ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით "ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებს.

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში.

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში წინა თვესთან შედარებით 1.1%-ით გაიზარდა. ასების 1.0%-იანი ზრდა დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე. ჭინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 4.8%-ით. აღნიშნულ პერიოდში 6.3%-იანი ფასების ზრდა დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 4.0%-ით.

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში.

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.8%-ით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდე-



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ქსის 8.4-იანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 11.3%-ით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 11.1%-იანი კლება დაფიქსირდა. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 5.35-იანი ზრდა.

პროგრამა ხორციელდება " სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი" ფარგლებში. როგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის მიერ.

პროგრამის მიზნებია:

1. პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა

2. არსებული ბაღის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;

3. მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;

4. ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების შექმნის ხელშეწყობა;

5. საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტული ძალის ანალიზს პორტერის 5 ძალის მოდელი აკეთებს, რათა დაეხმაროს საკუთარი ძალის და სუსტი მხარეების განსაზღვრაში. პორტერის მიერ გამოვლენილი 5 ძალა ხშირად გამოიყენება, როგორც კონკურენციის ინტენსიურობის, მიმზიდველობის და მომგებიანობის საზომი:

1. ინდუსტრიაში არსებული კონკურენცია

2. ინდუსტრიაში ახალი შემომსვლელების პოტენციანი

3. მომწოდებელთა ძალა

4. მომხმარებელთა ძალა

5. შემცვლელი პროდუქტების გამოჩენის საფრთხე

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტებიდან აღსანიშნავია:

1. მეწარმეობის განვითარების სააგენტო

2. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანებია:

1. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

2. სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;

3. მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის "უპირველესად იფიქრე მცირეზე" პრინციპს. მისი მთავარი მიზანი არის მცირე და საშაულო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო , რომლის მიერ ხორციელდება "ერთიანი აგროპროექტი". მასში ერთიანდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები:

1. დანერგე მომავალი

პროექტი "დანერგე მომავალი" ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო " ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

პროექტი მიზნად ისახავს:

- საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწებისეფექტურ გამოყენებას მრავალწლობანი კულტურების გაშენების გზით.
- ადგილობრივი მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება.

2. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა ხორციელდება " სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის" ფარგლებში.

პროგრამის მიზნები:

- პირველად წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა
- არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა
- მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა
- ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების შექმნის ხელშეწყობა
- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

3. აგროდაზღვევა

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზანად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღ-

ნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

4. შეღავათიანი აგროკრედიტი

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო "ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში.

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

5. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო "ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში.

პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს:

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების კომპონენტი
- შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

6. აწარმოე საქართველოში

"აწარმოე საქართველოში" არის ინიციატივა, რომლითაც სახელმწიფო პასუხობს ქართული მეწარმეობის განვითარების ყველა გამოწვევას და ხელმისაწვდომს ხდის ბიზნესისთვის ფინანსებს, ქონებას, ინფრასტრუქტურას, ტექნოლოგიებს და ცოდნას.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ხელის შეწყობა ყველა მეწარმესათვის, რომელიც გადაწყვეტს ახალი საწარმოს შექმნას. თავდაპირველად დახმარება გაეწევათ და თითქოს უსასყიდლოდ სიმბოლურ ფასად გადაეცემათ ამორტიზირებული შენობა-ნაგებობები, მიეცემათ შეღავათიანი გრძელვადიანი სესხები ძალიან დაბალ პროცენტში, დახმარება გაეწევათ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მოძიებაში, შესყიდვაში, საწარმოების გამართვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020;
2. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020
4. დანერგე მომავალი (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო)
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო-სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა. თბილისი 2017 წელი
6. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების და მათი როლი დარგის განვითარებაში. მაისი 2014 წელი.